

„საბაზისო სერვისები პირველად ჯანდაცვაში - არსებული სერვისებით  
სარგებლობის და გამოწვევების შეფასება“

ნანა მგალობლიშვილი

თათია ხადური

ჯგუფი N 8

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა  
და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

*ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი*

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე (საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2020 წელი

## სარჩევი

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები .....	II
აბსტრაქტი .....	III
შესავალი .....	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	2
საქართველო.....	11
კვლევის მეთოდოლოგია .....	17
კვლევის მიზნები და ამოცანები .....	17
კვლევის მეთოდი .....	18
კვლევის შერჩევა.....	18
ანალიზის მეთოდი .....	19
შერჩეული მეთოდის შეზღუდვა .....	21
ეთიკური საკითხები .....	21
კვლევის შედეგები .....	22
გეგმიური ამბულატორია.....	27
ექიმ - სპეციალისტების კონსულტაცია .....	32
დიაგნოსტიკა.....	39
ლაბორატორიული კვლევა.....	39
ინსტრუმენტული კვლევა.....	42
მონაცემების ანალიზის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზი.....	44
მიგნებები და ინტერპრეტაცია .....	46
ძირითადი მიგნებები .....	46
პაციენტის მენეჯმენტი.....	46
დაფინანსების სქემები .....	47
სერვისებით მოცვა.....	50
ელექტრონული სისტემა .....	51
შეჯამება და რეკომენდაციები.....	52
გამოყენებული ლიტერატურა.....	56

## გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

WHO - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო)

MOH - ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

NCDC- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი

SSA - სოციალური მომსახურების სააგენტო

პჯდ - პირველადი ჯანდაცვა

IAP – დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების პანელი

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

## აბსტრაქტი

პირველადი ჯანდაცვა ჯანდაცვის სისტემის ერთ -ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მსოფლიო ექსპერტების მოსაზრებით, ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებისათვის, სერვისების სრულყოფილი მოცვისთვის აუცილებელია (WHO, 2019): პერსონალის განათლება და მოტივაცია, ინფრასტრუქტურა, მკურნალობის თანამდროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენება.

დღევანდელ დღეს ჯანდაცვის სისტემაში და განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის დონეზე, აქტიურად მიმდინარეობს ელექტრონული სისტემების დანერგვა. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის მიმდინარე რეჟიმში მიღებული და განახლებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მონაცემების მისაღებად სერვისების ხელმისაწვდომობის, სარგებლობის, მონიტორინგის და/ან მოსახლეობის საჭიროების განსაზღვრისთვის.

ამიტომ, კვლევის მიზნად განისაზღვრა სამედიცინო დაწესებულებების ქსელის მაგალითზე (რეგიონული 10 სამედიცინო დაწესებულება საქართველოს 6 რეგიონში), რომლებიც ჩართულნი არიან ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შეფასდეს პირველად ჯანდაცვაში არსებული საბაზისო სერვისებით სარგებლობა და ელექტრონული სისტემის ეფექტურობის შესწავლა. გამოყენებული იქნა ელექტრონული ბაზების საშუალებით მიღებული მონაცემების რაოდენობრივი ანალიზით მიღებული ინფორმაცია. მონაცემები დაჯგუფდა ანალიზისთვის, კერძოდ კი დავაჯგუფეთ ცვლადები, როგორცაა დიაგნოზები, დაფინანსების წყარო, გაწეული სერვისი, ასაკი და ა.შ.

კვლევის ფარგლებში, ძირითად მიგნებას წარმოადგენს: რეგიონებში მოსახლეობა უმეტესად მხოლოდ სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისით სარგებლობს და უცნობია მათი რეალური საჭიროებები; ექიმ სპეციალისტების კონსულტაციის ხანგრძლივობა უმეტესად ნაკლებია 15 წუთზე, რაც საერთაშორისო

რკომენდაციების გათვალისწინებით იწვევს არაეფექტურ სამედიცინო მომსახურებას და შედეგად გადაუდებელი სერვისებით სარგებლობას; არსებული ელექტრონული სისტემით, დამატებითი რესურსის გარეშე სრულყოფილად ვერ ხორციელდება პაციენტის, მისი კლინიკაში მიმართვიანობის, პროფილაქტიკის, პრევენციის და/ან მეთვალყურეობის შესახებ მონაცემების გენერირება.

ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის რგოლმა იმუშაოს როგორც ერთიანმა სისტემამ, რომელიც ინტეგრირებულია ჯანდაცვის სხვა სერვისებში. “ყველა ადამიანი, ყველგან, იმსახურებს სწორ ზრუნვას, სწორედ საკუთარ საზოგადოებაში. ეს არის პირველადი ჯანდაცვის ძირითადი საფუძველი” (WHO, 2019).

## **Abstract**

Primary health care is one of the most important part of the health care system. According to world experts, for the development of a quality primary health care system it is essential to provide: staff education and motivation, infrastructure, the use of evidence-based standards in the process of treatment (WHO, 2018).

Today, implementation of electronic systems in the healthcare system, and especially at the primary health care, is actively going on. The information which is updated in the current time, to receive quantitative and qualitative data is important for the medical experts to determine the need of the population, availability, using services and monitoring health care programs.

The aim of the study was to identify and assess the use of basic health care services at the primary health care level and study the effectiveness of the electronic system based on regional 10 medical centers in 6 regions of Georgia, which are involved in the unified electronic system and work under one institution. For our research quantitative data was used through electronic

databases. The data were grouped for analysis, namely we grouped variables such as diagnoses, source of funding, services, age, and etc.

The main findings of the study are: In the regions, the population uses only medical services defined by state programs and their real needs are unknown; The duration of consultation with physician specialists is usually less than 15 minutes, which, due to international recommendations, leads to ineffective medical services and, as a result, the use of emergency services; with the existing electronic system, without additional resources, it is not possible to generate data on patient referral, treatment, prevention and/or supervision in the clinic.

For the development of the health care system it is important to provide the primary health care system as a unified system integrated into health services. “All people, everywhere, deserve the right care, right in their community. This is the fundamental premise of primary health care” -WHO, 2019.